პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 33 (13427) | ოთხშაბათი, 9 თებერვალი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს

ჰიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის ორდენით დაჯილდოებისადმი მიძღვნილი საერთო საქალაქო მიტინგის მონაწილენი ჰიათურის მშრომელთა სახელით მხურვალე მადლობას უძღვნიან მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მათი შრომითი მეცადინეობისა და საწარმოო მიღწევების დიდად დაფასებისათვის.

ჰიათურელთა წარმატებები განაპირობა ჩვენი პარტიის განუწყვეტელმა ზრუნვამ მაღაროელთა შრომის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მანგანუმის წარმოების სრულყოფისა და უახლესი ტექნიკით მისი აღჭურვისათვის, ქალაქ ჰიათურის მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის.

მთავრობის საპატიო ჯილდომ აღგვაფრთოვანა ახალ სახელოვან საქმეთა შესახრულებლად. მზად ვართ მომავალშიც ვიშრომოთ ძალღონისა და ენერგიის დაუზოგავად, რათა ღირსეულად შევხვდეთ სკკპ XXIII ყრილობას.

ჰიათურელი მაღაროელები, ქალაქის ყველა მშრომელი პირობას აძლევენ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ თავდადებით იბრძოლებენ ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. წვლილს შეიტანენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ჰიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის ორდენით დაჯილდოებისადმი მიძღვნილი ჰიათურის მშრომელთა საერთო საქალაქო მიტინგის მონაწილენი.

ჩვენი პარტიის XXIII ყრილობის შესაფერადაც

ᲓᲐᲜᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ

რესპუბლიკის საწარმოთა შორის ყრილობისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც იანვრის დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა და მომხმარებელს 12 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გაუგზავნა. შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით გათვალისწინებულს ორი პროცენტით გადააჭარბა.

წნორის მექანიკური ქარხანას ორჯონიკიძელებმა ასაწყობად დამატებით გაუგზავნეს 50 კომპლექტი ღვინის ტუმბოს სხმული.

შრომაში დაწინაურდა მექანიკური საამქროს ხარატი ა. ომარაშვილი, რომელმაც იანვრის საწარმოო დავალება 150 პროცენტით შეასრულა. მან ეს შრომითი წარმატება სკკპ XXIII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობას მიუძღვნა.

გეგმა, რეალიზაცია, ეკონომიკა

თბილისი. კომუნისტური შრომის საწარმოს ჩასა გადაბრონე ფაბრიკის კოლექტივი სკკპ XXIII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის ღირსშესანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ გალდებულებას წარმატებით ასრულებს: იანვარში აქ გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 4 ტონა ნაი. პროდუქციის რეალიზაციის დავალება შესრულებულია 42 ტონის გადაჭარბებით. იანვარში ფაბრიკამ 17 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე საწარმოთა თაოსნობის საპასუხოდ აქ იანვარს წელს დაზოგონ 35 ტონა ნედლეული და დამატებით გამოუშვან 170 ათასი მანეთის ნაწარმი.

ᲕᲐᲓᲐᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ

რუსთავი. (საკ. კორ.). ხილეული წყლების კომბინატის მუშა-მოსამსახურეები ფართოდ არიან ჩაბმული პარტიის XXIII ყრილობის ასსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევენ. მათ იანვრის საწარმოო დავალება ჯერ კიდევ 15 რიცხვისათვის შეასრულეს. გეგმის ზევით გამოშვებულია 1.470 დეკალტრი უალკოჰოლო სასმელი.

კომბინატის მრავალი მოწინავე მუშიდან უნდა აღინიშნოს ნ. ტატუნაშვილის, მ. სატიროვას, გ. გორელისა და სხვათა ენერგიული მუშაობა. მათი ყოველდღიური მაჩვენებელი 120-140 პროცენტს აჭარბებს.

პარტიული მუშაკი

კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი ემზადებიან სკკპ XXIII ყრილობისათვის. მიმდინარე პარტიულ კონფერენციებზე დელეგატები საქმიანად აჯამებენ საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შედეგებს, გამედულად ამხილებენ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, განსაზღვრავენ პარტიის მიერ დასახული დიდი ამოცანების წარმატებით შესრულების გზებს. კომუნისტები მომთხოვნელობით და პრინციპულად უკეთებენ ანალიზს პარტიული კომიტეტების საქმიანობას, დიდ მოთხოვნებს უყენებენ პარტიულ კადრებს.

დღევანდელი პარტიული მუშაკი პროფესიონალი რევოლუციონერების, ლენინური პარტიის პროგეთი მებრძოლების მემკვიდრეა, სამოქალაქო ომის კომისრების, კოლექტივიზაციისა და პირველი ხუთწლედების დროის პოლიტიკური ორგანიზატორების, დიდ სამამულო ომში გამარჯვების ორგანიზატორების საუკეთესო ტრადიციების განმგრძობია. პარტიული მუშაკის საქმიანობის სფეროა ადამიანები, მათი შრომა და ყოფაცხოვრება, მათი განწყობილება, აღზრდა; მათი ფიცანაა, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, „ვაშენოთ ახალი შრომის დისციპლინა, ვაშენოთ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი ფორმები". ხოლო მისი შესრულების მთავარი საშუალებებია კადრების შერჩევა და აღზრდა, შესრულების შემოწმება, ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა მასებში.

მრავალი ძვირფასი თვისება უნდა ჰქონდეს პარტიულ მუშაკს. მათ შორის მთავარია ბოლშევიკური იდეურობა, და პრინციპულობა, მარქსისტულ-ლენინური მორწმენტები და პოლიტიკური სიმტკიცე, თავმდაბლობა და მორალური სისუფთავე, უნარი პატივს სცემდეს ადამიანებს მათს აზრს. გულისხმიერად უჭერდეს მხარს ყოველივე მოწინავეს, შეუწყნარებელი იყოს უფრაობისა და რუტინისადმი.

პარტიული მუშაკი კანცელარიის მოხელე როდია. მას ვერ წარმოუდგენია ერთი დღეც, რომ ცოცხალი კავშირი არ ჰქონდეს მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინტელიგენციასთან. მას მუდამ ახსოვს პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის მძლავრი შემოქმედებითი ძალა, მისთვის უცხოა ყოყოჩობა და თვითდამშვიდება. ხელმძღვანელობის კოლექტიურობა და მაღალი დისციპლინა, თვითეული პირადი პასუხისმგებლობა პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე — ამ ლენინურ ნორმებს განუხრელად უნდა ახორციელებდეს ყველა პარტიული ორგანიზაცია.

ამიტომაც საბჭოთა ხალხი ახორციელებს სკკპ პროგრამაში დასახულ ამოცანას — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანას. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების დადგენილებებმა პარტიული ორგანიზაციების, მთელი ჩვენი კადრების უურადღება მიაპყრეს ეკონომიური მუშაობას, ქვაკუთხედად დააყენეს მეურნეობის გაძლოლის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები. ახლა საქმე ეხება იმას, რომ მთელი პარტიული მუშაობისთვისაც დამახასიათებელი გახდეს მეცნიერული მიდგომა საქმისადმი.

დროის მოთხოვნა ხდება ეკონომიური მეცნიერების დაუფლება, წარმატების საზომი — წარმოების ეკონომიური ეფექტი. განსაკუთრებით აქტუალურად გაისმის ახლა ლენინური მითითება — ვისწავლოთ მეურნეობის გაძღოლა. მხარი უნდა დავუჭიროთ იმ პარტიული კომიტეტების გამოცდილებას, სადაც პარტიული აქტივის კადრების ორგანიზატორული ოსტატობის ამაღლება შეხამებულია მათს ეკონომიურ სწავლასთან. ამ მხრივ ბევრი რამ საგულისხმო შექმნეს მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების კომუნისტებმა, საინტერესო მაგალითებია ჩვენი ქვეყნის ბევრი სასოფლო რაიონის პარტკომების პრაქტიკაში.

ახლა პარტიულ კომიტეტებში ბევრი კვალიფიციური სპეციალისტი მუშაობს. მაგრამ შეიძლება იყო განათლებული ინჟინერი და ცუდი პარტიული მუშაკი. პოლიტიკურ ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს უნარი იმუშაოს ადამიანებთან, გაერთიანოს და წარმართოს მასების ენერგია, ნება, ტალანტები მაღალი მიზნის მისაღწევად. ეს კი რთული ხელოვნებაა, მას დიპლომთან ერთად როდი იძლევიან. ამ ხელოვნებას, ორგანიზატორულ მუშაობის ხერხებსა და ჩვევებს პარტიული ხელმძღვანელი უნდა ეუფლებოდეს ისეთივე სიბეჯითით, როგორც მარქსისტულ-ლენინურ თეორიასა და ეკონომიურ მეცნიერებას.

ჯერ ხომ ყველგან ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი დღის მოთხოვნებს პარტიული მუშობის სტილი და მეთოდები. ბერიოზოვის პარტიული კონფერენციის (პერმის ოლქი) დელეგატებმა მწვავედ გააკრიტიკეს რაკომის ბიუროს არაორგანზებულობისათვის, „ტუქსისათვის", „რწმუნებულთა სისტემით" გატაცებისათვის. რაიკომის მუშაკები მეურნეობებში დადიან ძირითადად პურის შესყიდვის დროს. რაიკომის განყოფილებათა კავშირი პარტორგანიზაციებთან სუსტია. პოლტავის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე გააკრიტიკეს პარტიის პოლტავის რაიკომის მუშაკები იმისათვის, რომ გატაცებული იყვნენ ხელმძღვანელობის დეკლარაციული მეთოდებით. ქალალდების თხზვნი. რაიკომი მასებში ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას კვლავ ცვლის თათბირებისა და სხდომების მოწვევით, მრავალი გადაწყვეტილებისა და რეზოლუციის გამოცემით.

საოლქო და სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე ღრმა ანალიზს უკეთებენ და განზოგადებენ პარტიული მუშაობის გამოცდილებას, საჭიროა შევიარაღდეთ ამ განზოგადებული გამოცდილებით, დადებითი მაგალითები ყველას კუთვნილება გავხადოთ.

ქარხნის საამქროში, კოლმეურნეობის ბრიგადაში, მშენებლობაზე — ყველგან პოლიტიკური ორგანიზატორის პირველი საზრუნავია მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცება, ადამიანთა შრომითი აქტივობის. მათი ინიციატივის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის განვითარება. უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია პარტიულ მუშაკს. ეს პასუხისმგებლობა განსაკუთრებით იზრდება ახლა, სკკპ XXIII ყრილობის წინ. მაგრამ იგი ფრთებს გვასხამს. საბჭოთა ხალხის თვითეულ დიდ თუ პატარა საქმეში პარტიული მუშაკის შრომის წილიც არის, თვითეულ გამარჯვებაში ჩაქსოვილია მისი რევოლუციური მგზნებარება, მისი აზრი, მისი ორგანიზატორული ტალანტი. მისთვის — მებრძოლისა და ორგანიზატორისათვის — არ არსებობს უფრო მეტი ჯილდო და სიხარული, ვიდრე ხედავდეს, რომ დღითიდღე იზრდება კომუნიზმის ნათელი შენობა, რომელიც ჩაიფიქრეს გენიალურმა ხუროთმოძღვრებმა — მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა.

PRAVDA
7 თებერვლის მოწინავე

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲜᲘᲡᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲘᲠᲝᲑᲐ

საზღვარგარეთის ქვეყნების მოლოცვები

მოსკოვის კომუნისტთა რაიონული კონფერენციები

მოსკოვი. 8 თებერვალი. (საკ. სს. კორ.). დღეს მუშაობა დაიწყეს ფრუნზეს, ლენინის, პიროქელი მაისის, პროლეტარული, სვერდლოვის და ტიმირიაზევის რაიონების პარტიულმა კონფერენციებმა.

პარტიული კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობენ: ლენინის რაიონში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი გ. ი. გორონოვი, პროლეტარულ რაიონში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ა. კირილენკო, სვერდლოვის რაიონში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. ანდროპოვი, ტიმირიაზევის რაიონში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კულაკოვი, ბაუმანის რაიონში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სკკპ ცენტრალური საგარეო კომისიის თავმჯდომარე ნ. ა. მურავიოვი, პირველი მაისის რაიონში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. პ. რუდაკოვი.

ᲐᲕᲚᲐᲜᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲩᲐᲛᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ტაშკენტი. 8 თებერვალი. (საკ. კორ.). ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუქამედ ჰაშმი მეოთხედფალი და მისი თანამხლები პირები დღეს დილით უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში ჩამოვიდნენ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ლითონის გამოშვების გაფართოების მიღწეულ დიდი წარმატებებისა და ეკონომიური პროცესების ათვისებისათვის, ახალი ტექნოლოგიური პროცესების ათვისებისათვის, ჩაპაროვიეს ა. ნ. ელექტრომეტალურგიული ქარხანა „დნეპროსპეცფოლადი" დაჯილდოებულა შრომის წითელი დროშის ორდენით. მიღწეული წარმატებებისათვის ასევე ჯილდოვდებიან ზლატოუსტის და ენგიკეევის მეტალურგიული ქარხნებსა და ტერეზინის მადნეულის ტრესტის ტერეზინის სახელობის მაღაროსამმართველო. (საკ. სს.).

ᲡᲚᲦᲝᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

8 თებერვალს მოსკოვში, გაიხსნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ოცდამეერთე სხდომა, რომელიც განიხილავს ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის რამდენიმე უმნიშვნელოვანეს საკითხს.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას თავმჯდომარეობს ვერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ბალკოვი.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

მოსკოვი. 7 თებერვალი. (საკ. სს. კორ.). დღეს სსრ კავშირსა და უნგრეთს შორის ერთ-ერთ ხელი მოაწერეს მოლაპარაკების ოქმს ერთ-ერთ ... ...

საოლქო პარტიულ კონფერენციაზე

ᲕᲐᲠᲪᲮᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ოლქის პარტიული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია 44 წლის წინათ იანვრის დასაწყისში გაიმართა. მაშინ მხოლოდ 700-ზე მეტ კომუნისტს ითვლიდა ეს ორგანიზაცია. ახლა კი კონფერენციას ესწრებოდნენ შვიდი ათასამდე კომუნისტის მიერ არჩეული დელეგატები. შვიდი ათასი კომუნისტია ოლქის მშრომელთა ავანგარდში.

კონფერენცია დაიწყო.

მომხსენებელმა, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ჯუსოევმა დაასახელა ციფრები და ფაქტები, რომლებიც ასახავენ სამხრეთ ოსეთის სამრეწველო საწარმოების წარმატებებს. საერთო პროდუქციის გამოშვების გასული წლის დავალება 105 პროცენტით შესრულდა. ჩვენმა ქვეყანამ მიიღო 709 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა.

აქაური მრეწველობა ჩვენს ქვეყანას აძლევს ტყვიას და თუთიას, ელექტროვიბრაციულ მანქანებს და მომინანქრებულ სადენებს, ავეჯს, კვების პროდუქტებს. მრავალი შეხანიშნავი ადამიანი აღიზარდა ფაბრიკებსა და ქარხნებში, შეიქმნა ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი, რომელიც განუწყვეტლივ აუმჯობესებს წარმოების ტექნოლოგიას, იბრძვის ახალი რეზერვების გამოვლენებისა და ამოქმედებისათვის. ახლა პარტიული ორგანიზაციების გადაუდებელ ამოცანას შეადგენს კვლავ იზრუნონ საწარმოთა რენტაბელობისათვის, გაზარდონ მექანიზაციის დონე, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება და შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება. ამის შესახებ კონფერენციაზე ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის ჯავის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ხანიკაევმა და კვაისის ტყვია-თუთიის საბადოს პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. კაბისოვმა.

სერიოზული მსჯელობა იყო სოფლის მეურნეობისა და ახალი, თანამედროვე ადამიანის აღზრდის საკითხებზე.

კონფერენციის დელეგატთა უმრავლესობა მემინდვრეები, მებაღეები და მევენახეები, მეჭარხლეები, მებოსტნეები და მეცხოველეები არიან. ისინი დაჯერებით ლაპარაკობენ თავიანთ საქმიანობაზე.

— სათქმელი ბევრი გვაქვს, — გაიცინა თავის სიტყვაში ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ა. ზიკაევმა, — გასული წელს მოპოვებული მაღალი მაჩვენებლები მიღწეულია მეურნეობის მუშათა კოლექტივში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონის ამაღლებით, კომუნისტების წარმოების გადამწყვეტ უბნებზე სწორი განაწილებით.

მართლაც რომ ერედვის საბჭოთა მეურნეობაში სრულყოფილად გამოვლინდა კომუნისტების დამრაზმავი ძალა, მათი პირადი მაგალითი და მაღალი დისციპლინა და ორგანიზებულობა. რომელ უბანსაც უნდა გადავხედოთ, იქნება ეს მარცვლეულის მეურნეობა, სადაც ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 23,6 ცენტნერი ხორბალი, მეხილეობა თუ მევენახეობა, მეჭარხლეობა თუ მებოსტნეობა, მეცხოველეობა—ყველგან შესამჩნევი წარმატებებია. მეურნეობა დაადგა რენტაბელობის გზას.

— სადაც ადამიანები სწორად შეკარჩიეთ, — ამბობს კონფერენციაზე საქართველოს კპ ზნაურის რაიკომის პირველი მდივანი გ. თხელიძე, შედგიც უკეთესი მივიღეთ.

აგიღოთ ორი კოლმეურნეობის მაგალითი ზნაურის რაიონიდან. ლაპარაკია სოფელ თიღვის ლენინის სახელობის და სოფელ ავნევის გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობებზე.

კოლმეურნეობათა გამგეობებისა და პარტიული ორგანიზაციების შეთანხმებული საქმიანობით ადამიანები განუწყვეტლივ ზრდიან თავიანთ მაჩვენებლებს მეურნეობის ამა თუ იმ უბნებზე. კომუნისტები გვევლინებიან ყოველივე ახლის, პროგრესულის ინიციატორებად. ისინი მეთვალყურეობენ ადამიანების დაძაბულ შრომას მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში, ფერმებში. კომუნისტები მეთაურობენ შრომის სტიმულირებას, აგროტექნიკური ღონისძიებათა ზუსტად გატარებას. კოლმეურნეებს სჭირათ ხელმძღვანელების, პატივს სცემენ მათ და მხარდამხარ მიჰყვებიან საერთო საქმეში. თიღვამ და ავნევმა წელს უხვად მიიღეს მარცვლეული, ბოსტნეული, ორმაგად შეასრულეს ხილის მოსავლიანობის გეგმა. 1964 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გაიზარდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვა.

კადრების აღზრდის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები აგრეთვე პარტიის ლენინგორისა და ცხინვალის რაიკომების პირველმა მდივნებმა ა. მარბიევმა და ბ. თადტაევმა. მრავალი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ფერმის გამგე თუ ბრიგადირი დაასახელეს კონფერენციაზე, რომლებიც თავიანთი შრომით ამრავლებენ კოლმეურნეობის მაჩვენებლებს. მაგალითად, მთელ ოლქში იცნობენ სოფელ დმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირს, წარჩინებულ მეხილეს გრიგოლ საგაკევს, რომელსაც რამდენიმე წელიწადია ხილის დიდი მოსავალი მოაქვავს.

სწორედ ასეთი ადამიანების მეშვეობით სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა შეძლო წარმატებით შეესრულებინა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დავალება. კონფერენციაზე ითქვა, რომ სამხრეთ ოსეთმა გასულ წელს სამშობლოს მისცა 8 ათასი ტონით მეტი ხილი, ვიდრე წინა წელს. საგრძნობლად გაიზარდა აგრეთვე მარცვლეულის, ყურძნის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1964 წელთან შედარებით გასულ წელს მიღებულია 114 კილოგრამით მეტი რძე.

რაკი ლაპარაკი კადრების აღზრდას, მათს შერჩევასა და განაწილებას შეეხო, აქ უკვე ბევრის თქმა შეიძლებოდა. ამ თემაზე საუბარი არ ცხრებოდა შესვენებების დროსაც. აქ იყვნენ კომუნისტები, რომელნაც ახლოვთ საოლქო კონფერენციები, რომელნაც ადრეულ ასაკში ოჯახურ საზრუნავს ებრძოლნენ, ეწვიენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას და ამასთან იმალლებენ იდეურ-თეორიული ცოდნის დონეს. პოლიტიკური განათლების სისტემაში ამჟამად ჩაბმულია 7.400 კაცი. აქედან დიდი უმრავლესობა კომუნისტებია. პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობის დაწყებამდე 250 პროპაგანდისტმა გაიარა სპეციალური გადასამზადებელი კურსები, სკოლების, სემინარების, წრეების დაკომპლექტება მოეწყო ცოდნისა და კომუნისტთა სურვილის გათვალისწინებით. ამან განაპირობა მეცადინეობის მაღალი დონე და მსმენელთა დაინტერესება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლებით. მოწონაა პროპაგანდისტთა რიცხვს ეკუთვნიან ა. კარაკულოვი (ქარხანა „ელექტროვბრომანქანა"), თ. ბეთეევი (მომინანქრებული სადენების ქარხანა), ს. მაისურაძე (ზნაურის რაიონის სოფელ თიღვის კოლმეურნეობა).

კონფერენციაზე ამასთანავე აღნიშნეს, რომ ლენინგორის რაიონის სოფელ გდუს, ცხინვალის რაიონის სოფელ გრომის და კეხვის კოლმეურნეობებში ცუდად მუშაობენ კომუნისტების პოლიტიკური და თეორიული ცოდნის დონის ასამაღლებლად. სამხრეთ ოსეთის საწარმოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მომსახურებას უწევს 120 აგიტკოლექტივი 2.600 აგიტატორით. მრავალი ლექცია, პოლიტიკური მოხსენება იკითხება როგორც პარტიული კომიტეტების ლექტორ-მომხსენებელთა ჯგუფების მეშვეობით, ისე საზოგადოება „ცოდნის" ხაზით. ეწყობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგრეთვე პარტჯგუფების ხელმძღვანელთა სემინარები. ამან ერთგვარად გააუმჯობესა კადრების აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საქმე, იგრძნობა ახალგაზრდობის შრომითი დაინტერესებაც.

ადამიანთა აღზრდაში დიდი როლი ეკუთვნის ხელოვნების ქართველ და ოს მუშაკთა ძმურ ურთიერთობას. გასულ წელს მაღალ იდეურ ვითარებაში, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ჩაიარა ქართველი კომპოზიტორების შეხვედრამ სამხრეთ ოსეთის კომპოზიტორებთან, მშრომელებთან. კომპოზიტორებმა ა. მაჭავარიანმა, რ. ლაღიძემ, შ. მშველიძემ და სხვებმა ოს მსმენელებს გააცნეს თავიანთი ახალი ნაწარმოებები, ქართველი კომპოზიტორები გაეცნენ ოსი კომპოზიტორების შემოქმედებას. ამ ღონისძიებამ ისინი საგრძნობლად დაახლოვა ერთიმეორესთან.

ყველაფერი ეს გაკეთებულია პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. ა. როდიონოვი.

კონფერენციამ პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად, აირჩია საოლქო კომიტეტის ახალი შემადგენლობა, აგრეთვე საქართველოს კპ XXIII ყრილობის დელეგატები და დასახა საქმიანი ღონისძიებანი.

ვ. გოზალიშვილი,
ი. თედიაშვილი.

ᲭᲐᲓᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ს. ი. ოჯახეანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი ამხ. სიმონ იაკობის-ძე ოჯახეანიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1966 წლის 7 თებერვალი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ რ. ი. დოღონაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროორექტორს, პროფესორ რომან ისიდორეს-ძე დოღონაძეს მიენიჭოს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1966 წლის 7 თებერვალი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. შ. ა. ასათიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო სანერგე მეურნეობების რესპუბლიკური ტრესტის დირექტორი ამხ. შალვა, ათიმოზის-ძე ასათიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი,
1966 წლის 7 თებერვალი.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲗᲬᲚᲔᲣᲚᲡ ᲣᲔᲓᲠᲘᲡ

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წლიურ საერთო კრებაზე

საბჭოთა მეცნიერების მიერ გასულ წელს გაწეული მუშაობა აღმოჩენათა მასშტაბისა და **მნიშვნელობის** მხრივ შეიძლება ითქვეს: იმდენად სწრაფია ჩვენს დროში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპი. ამაზე მკაფიოდ ადასტურებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრება, რომელიც დღეს გაიხსნა. საბჭოთა მეცნიერებს ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში, ისინი ემზადებიან იმისათვის, რომ დირსეულად შეხვდნენ სკკპ XXIII ყრილობას. მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგში ახალი მიღწევების მეთოდით გაჩდა შესაძლებელი ისეთი დიდი საქმე, როგორიც არის საბჭოთა ავტომატურ სადგურ „ლუნა-9-"ის გაფრენა და მთვარეზე დაჯდომა.

საერთო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა, რომელმაც ალნიშნა, რომ ამ ბოლო დროს განსორციელდა მთელი რიგი დიდი მეცნიერული აღმოჩენები. დაასახა პროგრესის ახალი გზები ტექნიკისა და სახალხო მეურნეობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში.

პრეზიდენტმა მოკლედ მიმოიხილა ძირითადი მოვლენები კოსმოსური კვლევის დარგში, რომელთა მოწმე იყო მსოფლიო გასული შვიდწლეულის მანძილზე. კოსმოსური რაკეტების საშუალებით დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრების გაშვების შემდეგ მალე გახორციელდა მთვარის უხილავი მხრის ფოტოგადაღება, ადამიანის პირველი რეისები კოსმოსში. ხოლო გასულ წელს, ზომალდ „ვოსხოდ-2"-ით საბჭოთა კოსმონავტების პავლე ბელიაევისა და ალექსი ლეონოვის გაფრენის დროს ადამიანი პირველად გავიდა თავისუფალ კოსმოსურ სივრცეში. აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა დამსწრეთ მოაგონა, თუ რა დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს მთვარის უხილავი მხრის ჯერ კიდევ უცნობი ნაწილის ფოტოგადაღებას, რაც აგრეთვე შარშან განხორციელდა ავტომატურ საპლანეტათშორისო სადგური „ზონდ-3-"ის საშუალებით. დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა სადგურების „ვენერა-2"-ისა და „ვენერა-3"-ის გაფრენა, რომლებიც ამ პლანეტისაკენ მიდიან. დიდ სამეცნიერო ინფორმაციას გვაძლევს, თქვა მ. ვ. კელდიშმა, მრავალი თანამგზავრი, რომელთა საერთო რიცხვმა უკვე 106-ს მიაღწია. ამ თანამგზავრებმა გადმოგვცეს სრულიად ახალი ცნობები კოსმოსური სივრცისა და დედამიწის ზედა ატმოსფეროს ფიზიკური პირობების შესახებ.

მსოფლიოში უმძლავრესი რაკეტის შექმნამ დიდი პერსპექტივები დასახა ახალ მეცნიერულ პრობლემათა გადაწყვეტისთვის და საშუალება მოგვეცა განვეგზიტირებინა ძძიერ თანამგზავრები „პროტონ-1"-ისა და „პროტონ-2"-ის გაშვება. ამ თანამგზავრებზე დადგმული კოსმოსური სხივების საკვლევი დანადგარები. ამრიგად, უკვე მიღებული გვაქვს მნიშვნელოვანი ექსპერიმენტული მონაცემები, რათა ჩაეწვდეთ ნაწილაკთა ბუნებას კოსმოსურ სივრცეში და გადაეჭრათ ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის პრინციპული პრობლემები. კოსმოსური სივრცის პრაქტიკული გამოყენების გზაზე დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო კავშირის თანამგზავრის „მოლნია-1"-ის გაშვება.

ბოლოს, ამ უკანასკნელი დღეების ბრწყინვალე წარმატება. კოსმოსის კვლევისა და სპალანეტათშორისო მომავლის განვითარების უდიდესი მოვლენა და თვალსაჩინო ეტაპია, ხაზგასმით აღნიშნა აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა, მთვარის ზედაპირზე ავტომატურ სადგურ „ლუნა-9"-ის რბილად დაჯდომა, რაც 3 თებერვალს განხორციელდა. მთვარის ლანდშაფტის გამოსახულებას, რომელიც სადგურმა გადმოსცა, დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი შეეხო აგრეთვე დიდმნიშვნელოვან მონაცემებს, რომლებიც პლანეტების კვლევაში მიღებულია ნიწსნზედა მეთოდებით, კერძოდ, რადიოასტრონომიული მეთოდებით.

დიდმნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული ბირთვული ფიზიკის თეორიული ნაწილებში, გაფართოდა რადიოელექტრონიკა ინოტოსპეისა და ატომური გამოსახეების გამოყენება მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ამჩქარებელი ტექნიკის გამოყენება დაიწყეს ქიმიურ ტექნოლოგიაში, რადიაციულ ქიმიაში, დეფექტოსკოპიასა და მეტალურგიაში, ელექტორებსა და საწყობებში, მარცვლის მავნებელთა მოსასპობად, კვების პროდუქტების კონსერვირებისათვის, მედიცინასა და სხვა დარგებში.

გასული წლის მნიშვნელოვან მიღწევათა შორის მ. ვ. კელდიშმა აღნიშნა შემხვედრ ელექტრონ-ელექტრონულ და პოზიტრონ-ელექტრონულკონიან დანადგართა აგება ნოვოსიბირსკის სამეცნიერო ცენტრში. სერპუხოვში შენდება 70 მილიარდი ელექტრონვოლტის სიმძლავრის, მსოფლიოში უდიდესი პროტონების ამჩქარებელი, მთავრდება დიდ ამჩქარებელთა მშენებლობა ერევანსა და ხარკოვში. საბჭოთა ფიზიკოსებმა რეკორდულ შედეგებს მიაღწიეს მაღალი ტემპერატურის პლაზმის მიღებისა და მისი თვისებების შესწავლის დარგში.

წარმატებით ვითარდება და წამყვანან ადგილს იკავებს საბჭოთა მათემატიკა, შეიქმნა მძლავრი, დიდი სიზუსტის გამოსათვლელი მანქანები. მ. ვ. კელდიშის აზრით კიდევ უფრო ფართოდ და ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ გამოსათვლელი ტექნიკა სახალხო მეურნეობის ეკონომიკაში, დაგეგმვასა და მართვაში.

მიღწეულია წარმატებები რადიოელექტრონიკის განვითარებაში, ახალი მგანიტური და ნახევარგამტარი მასალების შექმნაშიც. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნაშრომებს მყარი სხეულის ზეგამტარობისა და ფიზიკის დარგში.

დამსწრენი დიდი ინტერესით შეხვდნენ პრეზიდენტის განცხადებას, რომ გასულ წელს მიღებულია მინა, რომლის გამლეობა 200-300 კილოგრამია ერთ კვადრატულ მილიმეტრზე, ანუ საუკეთესო ოლეგირებული ფოლადების გამძლეობას უდრის. წამოყენებულია მასალათა გამოდნობისა და დამუშავების ახალი პროგრესული საშუალებანი, კერძოდ ჰიდროექსტრუზიული მეთოდი. შედეგებს ახალი მეთოდება, მზა ნაწარმის კონტროლის ორიგინალური საშუალებანი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელოვნური ალმასების მიღებისა და მანქანათმშენებლობაში მათი ფართოდ გამოყენების პრობლემას. მოსალოდნელია, თქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, რომ უახლოეს დროში შეიქმნება დიდი ალმასები, რომლებიც გამოსადეგი იქნება, კერძოდ, ბურღვის ტექნიკაში.

დიდი ყურადღება ეთმობოდა ბიოლოგიური მეცნიერების ისეთი ახალი მიმართულებების განვითარებას, როგორიც არის მოლეკულური ბიოლოგია, ბიოქიმია და ბიოფიზიკა, ციტოლოგია, მიკრობიოლოგია. შეიქმნა მეცნიერული წინამძღვრები სახალხო მეურნეობაში მთელი რიგი ფიზიოლოგიური აქტიური ნაერთების — ვიტამინების, ფერმენტების, ანტიბიოტიკების, ამინმჟავების მიღებისა და გამოყენებისათვის.

დიდია ჩვენი მიღწევები სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების განლაგების კანონზომიერებათა შესწავლის დარგში. შედგენილია ევრაზიისა და ევროპის ტექტონიკური რუკები, რაც მეცნიერული საფუძველია დედამიწის აგებულების შემდგომი გლობალური კვლევისათვის. ამ სამუშაოებმა ხელი შეუწყო სასარგებლო წიაღისეულთა მსხვილი საბადოების აღმოჩენას, მათ შორის ნავთობისა და გაზის საბადოების აღმოჩენას დასავლეთ ციმბირში, იაკუტიაში, დასავლეთ ყაზახეთში, თურქმენეთში, დასავლეთ უზბეკეთში, უკრაინაში, ბელორუსიასა და ჩვენი ქვეყნის ბევრ სხვა რაიონში.

აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა აღნიშნა, რომ დიდი ყურადღებას მიაქცევდა მეცნიერების ეკონომისტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის თეორიული საკითხების შემდგომ დამუშავებასთან ერთად საჭიროა ღრმად გამოვიკვლიოთ ის პრობლემებიც, რომლებიც დაკავშირებულია გასული წლის ბოლოს მიღებული სამეურნეო რეფორმის განხორციელებასთან. აგრეთვე საჭიროა, განაცხადა მ. ვ. კელდიშმა, გავაძლიეროთ კონკრეტული სოციოლოგიური კვლევა, რომლის მნიშვნელობა უკანასკნელ დრომდე ჯეროვნად არ იყო შეფასებული.

შემდეგ პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შეიქმნას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომები. ამასთანავე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღმოვფხვრათ სუბიექტური ხასიათის შეცდომები საზოგადოებრივ მეცნიერებებში, თანმიმდევრულად განვახორციელოთ მეცნიერების პარტიულობის ლენინური პრინციპი.

მ. ვ. კელდიშმა განაცხადა, რომ 1965 წლის განმავლობაში მეცნიერებათა აკადემია დიდ ყურადღებას აქცევდა მეცნიერების განვითარების ძირითად მიმართულებათა შემუშავებას მომავალი ხუთწლეულისათვის. ჩვენს გეგმებში, თქვა მან, დიდი ყურადღება ეთმობა ცოცხალი და არაცოცხალი მატერიის სტრუქტურის პერსპექტიულ კვლევას, სამყაროს შესწავლას, მართვის თეორიას, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი განვითარების პრობლემებს.

დასასრულ აკადემიის პრეზიდენტი შეეხო მთელ რიგ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერული კადრების აღზრდასთან და წარმოებაში მეცნიერული [illegible] ... ეროვნულ მეცნიერულ ... ევროპულ უნივერსიტეტებ[illegible] ... ლის, გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე სწავლულმა მდივანმა აკადემიკოსმა ნ. ვ. ხიხაკიანმა.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, მისი ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, თქვა მეცნიერმა. ამ გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელებულ ღონისძიებებს საფუძვლად უდევს ღრმა მეცნიერული მიდგომა ეკონომიური შეხედულობის პრობლემებისადმი, სოციალისტური მეურნეობის განვითარების კანონზომიერებათა ცოდნა.

ახლა, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი ემზადება ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXIII ყრილობას, განაგრძო ნ. ვ. სიხიკიანმა, კიდევ უფრო უნდა მიეუახლოოს მეცნიერება ცხოვრებას.

მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ჯერჯერობით, საბედნიეროდ, ჯეროვნად ვერ გაუმჯობესებულა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა სამეცნიერო საქმიანობის ყოორდინაციისა უმაღლეს სასწავლებლებთან. საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა ამ მიმართულებით, დავამყაროთ აკადემიური ლაბორატორიათა უშუალო კონტაქტი უმაღლესი სასწავლებლთა კათედრებთან. უმაღლესი მნიშვნელობის ამოცანაა ავამაღლოთ უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის დონე და ეფექტიანობა.

მომხსენებელი შეეხო მეცნიერული პროგრესის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ თავისებურებას — მათემატიკის, იდეებისა და მეთოდების დამკვიდრებას მეცნიერებისა და ტექნიკის სულ სხვადასხვა სფეროში. ახლა უკვე შეიძლება ელაპარაკოთ იმის შესახებ, რომ მათემატიკური მეთოდები ღრმად დაინერგა ისეთ მეცნიერებებში, როგორიც არის ქიმია, ბიოლოგია, ეკონომიკა, გეოლოგია, ფილოლოგია. წარმატებით ვითარდება, განაგრძობ, ბიოლოგიურ სისტემათა მათემატიკური მოდელირება.

საბჭოთა კავშირმა, რომელმაც კაცობრიობას გზა გაუკაფა კოსმოსისაკენ, განაგრძო ბრძოლა, რომელიც შეიქმნენ დიდ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომები. ამასთანავე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღმოვფხვრათ სუბიექტური ხასიათის შეცდომები საზოგადოებრივ მეცნიერებებში, თანმიმდევრულად განვახორციელოთ მეცნიერების პარტიულობის ლენინური პრინციპი.

მ. ვ. კელდიშმა განაცხადა, რომ 1965 წლის განმავლობაში მეცნიერებათა აკადემია დიდ ყურადღებას აქცევდა მეცნიერების განვითარების ძირითად მიმართულებათა შემუშავებას მომავალი ხუთწლეულისათვის. ჩვენს გეგმებში, თქვა მან, დიდი ყურადღება ეთმობა ცოცხალი და არაცოცხალი მატერიის სტრუქტურის პერსპექტიულ კვლევას, სამყაროს შესწავლას, მართვის თეორიას, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი განვითარების პრობლემებს.

XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲒᲘᲜᲔ

ვაშინგტონი, 8 თებერვალი. საკუთარი კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკოს იუწყება:

ოფიციალური ვაშინგტონი გუშინ არ მოერიდა აღინიშნა სამარცხვინო თარიღი — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სისტემატური ბარბაროსული დაბომბვის დაწყების წლისთავი. პენტაგონმა გაზეთებსა და რადიოს მიაწოდა აღმაშფოთებელი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი ათეული ათასი ტონა ბომბი და ნაპალმი დააყარეს გასული წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს.

ამ მეკობრული საჰაერო ომის ერთ-ერთი ინიციატორი, ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ავიაციის ყოფილი სარდალი გენერალი თომას პაუერი იკვეხნიდა, რომ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალები „რამდენიმე დღეში და მინიმალური დანაკლისით" მოიგებენ ომს. ახლა აშკარაა, რომ გენერლის წინასწარმეტყველება არ ახდა.

როგორც ვაშინგტონელი მომომხილველნი აღიარებენ, საჰაერო ომმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ართუ არ მისცა რაიმე უპირატესობა პენტაგონს, არამედ ცხადყო კიდევაც ავიაციის უძლურება ხალხის სიმამაცის წინაშე.

განვლილ წელს, აღინიშნავს პენტაგონი, ამერიკის ავიაციამ გააძლიერა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებული რაიონების დაბომბვა. ამერიკელმა მფრინავებმა მოსპეს ბევრი სოფელი, დააზიანეს ბრინჯის ნათესები და კაუჩუკის პლანტაციები. მაგრამ სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა ძალები, როგორც ვაშინგტონი გაზეთები აღიარებენ, კი არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სტრორისტული საჰაერო ომი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბევრი პატიოსანი ამერიკელის აღშფოთებას იწვევს. ასობით, ათასობით წერილი და დეპეშა მოსდით ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრებს, თავიანთი ამომრჩეველებისაგან, რომლებიც გულისწყრომით აღსავსე პროტესტს აცხადებენ ბარბაროსული დაბომბვის წინააღმდეგ.

გასულ კვირაში სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ სენატორ ფულბრაიტის თავმჯდომარეობით დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სენატმარ პოლიტიკის განხილვა. დღევანდელ გაზეთი „ვაშინგტონ ივნინგ სტარი" ამ კომისიის მუშაობას ახასიათებს როგორც „მნიშვნელოვანი მასშტაბის პოლიტიკურ ამბოხს" „ომნისონის ... უფლების წინააღმდეგ, რომ აწარმოოს ვიეტნამის ომი".

ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲓᲔᲒᲝᲑᲐᲗᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ქალაქი... მეტად გახშირდა ეს სიტყვები სახალხო უნგრეთში: მიმდინარე წელს ოსტროსუბლიანკაში გაჩნდა უკვე 64-ე ქალაქი. ყოფილი სოფელი გიოდიოლიე გასულ იანვარში ქალაქად გამოცხადდა, იგი ოცდაათი კილომეტრით არის დაშორებული დედაქალაქს. ახალ ქალაქში ოცი ათასი მცხოვრებია. აქ არის ცნობილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ორი მსხვილი სამრეწველო საწარმო. მალე ქალაქი კიდევ უფრო გაიზრდება და დამშვენდება — პერსპექტიული გეგმით გთვალისწინებულია საავადმყოფოს, სკოლების, თვითმმართველობის მაღაზიების მშენებლობა. სურათზე თქვენ ხედავთ გიოდიოლიეს ელექტროქარხანა „განცის" მუშებს, რომლებიც ამოწმებენ მზა პროდუქციის ხარისხს.

XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲒᲘᲜᲔ

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲠᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡᲗᲐᲜᲘ

ᲗᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 7 თებერვალი. (საკუთარი კორ.). დღეს 10 საათსა და 25 წუთზე ადგილობრივი დროით ცენტრალურმა სეისმურმა სადგურ

ეს როგორია მთვარე?

მთვარის პანორამა

ფოტოსურათზე ასახულია მთვარის წრიული პანორამა, რომელიც მიღებულია ავტომატურ სადგურ „ლუნა-9“-ის სატელევიზიო სისტემის საშუალებით, როცა გამოსახულება განფენილია 360 გრადუსზე.

როგორც ცნობილია, ავტომატური სადგური „ლუნა-9“ იმყოფება მთვარის ზედაპირის შედარებით სწორ მონაკვეთზე ეკვატორის მახლობლად ქარიშხალთა ოკეანის აღმოსავლეთ კიდეზე. კამერაში ჩანს მთვარის ჰორიზონტის ხაზი, რომელიც დაახლოებით კილომეტრნახევრით არის მისგან დაშორებული. როგორც ფოტოსურათიდან ჩანს, გამოსახულების მასშტაბი ძალიან სწრაფად მცირდება სადგურიდან დაშორების კვალობაზე. უშუალოდ სადგურის ახლოს, ესე იგი პანორამის წინა პლანზე, კამერის გარჩევის უნარი 1-2 მილიმეტრს აღწევს, ხოლო ხილული ჰორიზონტის ახლოს შეიძლება მხოლოდ რამდენიმე მეტრზე მეტი ზომის საგნების გარჩევა. ჰორიზონტის ხაზი მეტად მკაფიოა, რადგან მთვარეზე ატმოსფერო არ არის და ცა იქ მთლად შავია.

ფოტოსატელევიზიო კამერაში ჩანს 30 გრადუსი სიმაღლის პანორამა. კამერის ვერტიკალური ორიენტაციის დროს ჰორიზონტის ხაზი იქნებოდა სწორი და ფოტოსურათს შუაზე გაუყოფდა. სინამდვილეში კამერის ღერძი აღმოსავლეთისაკენ არის დახრილი. ამ მხარეს ჰორიზონტის ხაზი პანორამის ზედა კიდეზე უფრო მაღლა მდებარეობს და ამიტომ არა ჩანს (ფოტოსურათის ცენტრი). ჩრდილოეთისაკენ (ცენტრიდან მარცხნივ) და სამხრეთისაკენ ჰორიზონტის ხაზი დაბლა ეშვება, დასავლეთით კი პანორამის ქვედა კიდის ქვეშ გადის. ამიტომ დასავლეთით მთვარის ზედაპირს ვერ ვხედავთ და მხედველობის მთელ არეს ავსებს მთვარის მთლად შავი ცა, რომლის ფონზე მოჩანს სადგურის კონსტრუქციის მხოლოდ ცალკეული დეტალები.

პანორამა მიღებულია 5 თებერვლის საღამოს კავშირის სეანსის დროს. ამასთან ფოტოსატელევიზიო კამერის დახრილობა რამდენადმე სხვა იყო, ვიდრე 4 თებერვალს, და ამის შემჩნევა შეიძლება, თუ შევადარებთ პანორამის შესაბამის ნაწილებს იმ ფოტოსურათებს, რომლებიც ადრე გამოქვეყნდა. მაგალითად, სადგურის კონსტრუქციის დეტალების გამოსახულება განლაგებულია ოდნავ სხვაგვარად მთვარის ლანდშაფტის მიმართ.

დაახლოებით 60 გრადუსი სიგრძის დასავლეთი სექტორი, სადაც მხოლოდ ცა და თვით სადგურის დეტალები მოჩანს, 5 თებერვალს არ გადაუღიათ და იგი აღებულია 4 თებერვლის ფოტოსურათებიდან.

სადგური დაჯდა ტერმინატორის ხაზის მახლობლად, ანუ მთვარის ისეთ ადგილას, სადაც ცოტა ხნის წინათ მზე ამოვიდა. 4 თებერვლის დილის სეანსის დროს მზის სიმაღლე იყო სულ 7 გრადუსი. და პირველ გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე უველა შვერილს ჰქონდა გრძელი ჩრდილი, რომელიც საგნების დაახლოებით ათ სიმაღლეს უდრიდა.

4 თებერვალს საღამოს — მეორე სეანსის დროს მზის სიმაღლემ 13 გრადუსს მიაღწია და ჩრდილების სიგრძე ორჯერ შემცირდა. 5 თებერვალს პანორამის გადაღების დროს მზე უკვე 27 გრადუსს სიმაღლეზე იყო და, მაშასადამე, ჩრდილები ოთხჯერ უფრო მოკლე გახდა, ვიდრე პირველ ფოტოსურათებზე.

მთვარის ზედაპირის ფოტოსურათების სერია, რომლებიც გადაღებულია ჰორიზონტზე მზის სხვადასხვა სიმაღლისას, მეტად მნიშვნელოვანია მთვარის ზედაპირის სტრუქტურის კვლევისათვის. ეს საშუალებას გვაძლევს უფრო საფუძვლიანად განვსაზღვროთ მთვარის ზედაპირის თავისებურებანი: ღრმულებისა და მაღლობების ზომა, შვერილთა ფორმა.

იმ რაიონში, სადაც სადგური დაჯდა, მთვარის ზედაპირი უსწორმასწოროა, მას ბევრი პატარა ღრმული და ბორცვი აქვს. აქა-იქ გაფანტულია ქვის ტიპის ცალკეული წარმონაქმნები. ზოგი მათგანი, რომელიც უფრო დიდი გვეჩვენება, დევს რამდენიმე მეტრზე სადგურიდან და 10-12 სანტიმეტრის ზომისაა. უფრო შორს მდებარე სხვა წარმონაქმნების ზომის დადგენა ძნელია, რადგან პერსპექტივა ამცირებს მათს ზომას.

პანორამის სხვადასხვა ნაწილში, მაგალითად, მის მარჯვენა ბოლოში მოჩანს პატარ-პატარა ღრმულები, რომელთა ზომა რამდენიმე ათეული სანტიმეტრიდან ორ-სამ მეტრამდეა. ზედაპირის ერთგვარი ბორცვიანობა შესამჩნევია ჰორიზონტის ხაზზე.

პანორამის წინა პლანზე მოჩანს სადგურის დეტალები, მათ შორის მიმღებთა და გადამცემთა ანტენები და ორწახნაგა სარკეები, რომლებშიც ასახულია მთვარის ზედაპირის ნაწილები. შუაში ჩანს შავი ზოლი — ეს არის პანორამის გადაცემის სეანსის შეწყვეტა. ქვემოთ შავი ზოლის რამდენადმე მარცხნივ მოჩანს სადგურის დეტალი, რომელიც სადგურის დაჯდომის დროს ჩამოშორდა მას.

მიღებული ფოტოსურათები პირველად გვაძლევენ პირდაპირ ცნობებს მთვარის ზედაპირის მიკროსტრუქტურის შესახებ. ამ ფოტოსურათებს საგულდაგულოდ შეისწავლიან.

მთვარის „მიწიერი“ პრობლემები

კოსმოსურ სადგურ „ლუნა-9“-ით ექსპერიმენტის წარმატებით დამთავრება ფართო პერსპექტივებს გვისახავს მთვარის შესწავლაში „მიწიერი“ მეცნიერების გეოფიზიკის, გეოქიმიის, გეოლოგიის საშუალებებითა და მეთოდებით. განსაკუთრებით საინტერესოა ამასთან დაკავშირებით „მთვარისძვრების“ აღმოჩენის პრობლემა, რომლის გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისთვისაც და მთვარის შემდგომი ათვისებისთვისაც.

აქამდე მთვარეს იკვლევდნენ ძირითადად როგორც კოსმოსურ სხეულს, რომლის შინაგან აგებულებაზე სულ ცოტა რამ იყო ცნობილი, განაცხადა საკავშირო კორესპონდენტთან საუბარში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ნ. ჟარკოვმა. ახლა გამოჩნდა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ მთვარეზე მიტანილ იქნას ავტომატური სეისმოგრაფები — მეტად მგრძნობიარე ხელსაწყოები, რომლებსაც შეუძლიათ აღმოაჩინონ მთვარისძვრები.

მეცნიერთა გაანგარიშებით, მთვარეზე, მისი წიაღის გაცივებისა და გახურების შედეგად, შეიძლება ერთი თვის მანძილზე მოხდეს ათიათასი ასამდე საკმაოდ დიდი ძვრა. რადგანაც მთვარის სფერო სიდიდით ჩვენს პლანეტაზე ნაკლებია, საკმარისია პატარა ძვრა, რომ იგი აღირიცხოს ზედაპირის ნებისმიერ წერტილში. საბჭოთა მეცნიერების რადიოსატრონომიულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მთვარის წიაღი საკმაოდ ცხელია. ამასთან, ტემპერატურა საკმაოდ სწრაფად იზრდება სიღრმის კვალობაზე — დაახლოებით ერთნაირი გრადუსით ყოველ მეტრზე და 200-300 მეტრ სიღრმეზე მთვარის ნივთიერება გავარვარებულია 300-400 გრადუსამდე ცელსიუსით. აქ გრანიტის ან ბაზალტის ქვის ქანები წარმოადგენს მკვრივ შეცხობილ მასას.

მეცნიერები იმასაც ფიქრობენ, რომ მთვარეს, როგორც ჩანს, შეიძლება თხევადი ბირთვიც კი ჰქონდეს. მაგრამ ამის დადგენა შეიძლება მხოლოდ მთვარის ზედაპირზე დადგმული სეისმოგრაფების საშუალებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ მთვარის სფეროს გარსის თბოგამტარობა მეტად მცირეა, მთვარის წიაღი ხუთი მილიარდი წლის მანძილზეც კი ვერ გაცივებულა. სიტყვა, რომელსაც გამოასხივებს ჩვენი უახლოესი ციური სხეული, 600-900 კილომეტრი სქესქის ფენიდან ამოდის ზედაპირზე.

მთვარის წიაღიდან ამომავალი სითბოს დიდი ნაკადი გვაფიქრებინებს, რომ მთვარის სფერო სულაც არ არის გაცივებული, უსიცოცხლო სამყარო. აქ შეიძლება მიმდინარეობდეს ძმაფრი პროცესები, შესაძლოა ვულკანური მოქმედებაც კი ხდებოდეს. ამ ვარაუდს რამდენადმე ადასტურებს პროფესორ ნ. ა. კონდრატევის ასტრონომიული დაკვირვებანი. მან 1958 და 1959 წლებში შეამჩნია გაზების ძლიერი გამოყოფა ალფონსის კრატერში.

ბოლოს, არის მთვარის სეისმური აქტივობის კიდევ ერთი წყარო, ესენია მეტეორიტები, რომლებიც უდიდესი სიჩქარით ცვივა ატმოსფეროთი დაუცველ მთვარის სფეროს ზედაპირზე. როგორც გაანგარიშება გვიჩვენებს, მთვარეზე ერთი თვის განმავლობაში იცემა ექვსამდე დიდი მეტეორიტი, რაც მის ყველა ნაწილში საგრძნობ ძვრებს იწვევს.

მაშასადამე, მთვარეზე შესაძლოა საძნაირად გამოვლინდეს სეისმური აქტივობა — მის წიაღში ცალკეული არეების არათანაბარი გათბობისა ან გაცივების, ვულკანური ამოფრქვევისა და მეტეორიტების ცვენის გამო. თუმცა, ეს ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდით ვიცით, მაგრამ მე მწამს, ხახასმით აღნიშნა მეცნიერმა, რომ მალე საბჭოთა მეცნიერები ექსპერიმენტულ მონაცემებს მიიღებენ მთვარის წიაღის აღნაგობის შესახებ.

ამრიგად, თქვა დასასრულ ამბ. ჟარკოვმა, პირველსავე სეისმოგრაფს, რომელიც მთვარის ზედაპირზე იქნება მიტანილი, შეეძლება აღრიცხოს მთვარისძვრები. საკმარისია მთვარეს ნიადაგს რამდენიმე დიდი ძვრა, რომ დავადასტუროთ ან უარყოთ მრავალი ჰიპოთეზა დედამიწის მარადიული თანამგზავრის წიაღის სტრუქტურის შესახებ. ეს მონაცემები მეტად გამოგვადგებოდა მიწისძვრებში ჩაწვდომისთვისაც, ახალ შექს მოჰფენდა ჩვენი პლანეტის წარმოშობის ისტორიასა და მზიური სისტემის ევოლუციას.

„ლუნა-9“-ის რბილად დაჯდომა ფართო პერსპექტივებს უსახავს სეისმოლოგიას — მეცნიერებას, რომელიც ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენი მშობლიური პლანეტის შესწავლასთან.

მთვარის წრიული პანორამის საერთო ხედი

მთვარის სამ ნაწილად გაყოფილი წრიული პანორამა

ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში

ე. ჟურდიანის დაბადების 60 წლისთავი

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა, განსაკუთრებით ბავშვები და მათი შშობლები კარგად იცნობენ გამოჩენილ მკურნალს დოცენტ ელიზბარ გიორგაძეს-ჟურდიანს. იგი ხალხში საყოველთაო სიყვარულითა და ავტორიტეტთ სარგებლობს.

ახლახან ე. ჟურდიანს დაბადების 60 წელი და სამკურნალო, სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობის 36 წელი შეუსრულდა.

ე. ჟურდიანი დაიბადა 1906 წელს საგარეჯოელი ინჟინრის ოჯახში. 1929 წელს მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, მომავალ სპეციალობად ქირურგია აირჩია და მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტის ჰოსპიტალურ-ქირურგიულ კლინიკაში, რომელსაც ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერი და ქირურგი, აკადემიკოსი გრიგოლ მუსაძე ხელმძღვანელობდა.

აკად. მუსაძე თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა ახალგაზრდა ნიჭიერ ექიმს. 1932 წელს რესპუბლიკის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში აკადემიკოს მუსაძის ინიციატივითა. ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური განყოფილება რომ ჩამოყალიბდა, ითავისი მასწავლებლის რჩევით ელიზბარი ამ განყოფილებაში გადავიდა სამუშაოდ.

იმ პერიოდში საქართველოს რაიონების მოსახლეობა ჯერ კიდევ მოკლებული იყო კვალიფიციურ ქირურგიულ დახმარებას. პატრიოტულმა მოვალეობამ ე. ჟურდიანს უკარნახა თავისი სურვილით ექიმად წასულიყო საქართველოს ყველაზე მორეულ, იმ დროისთვის თითქმის მიუვალ კუთხეში სვანეთში — მესტიის რაიონში. სვანეთიდან დაბრუნების შემდეგ რამდენიმე წლს ელიზბარი სიღნაღის რაიონში მუშაობდა, მერე კი კვლავ თბილისში დაბრუნდა და მუშაობა განაგრძო რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში. აქ მისი ხელმძღვანელი იყო პროფესორი მ. ცხაკაია. მრავალი წლის განმავლობაში ელიზბარი მუშაობდა მასთან ორდინატორად, ასისტენტად, დოცენტად. კვალიფიკაციის ასამაღლებლად ქურდიანი რამდენჯერმე იყო მივლინებული მოსკოვში, ლენინგრადსა და ხარკოვში.

1940 წელს ე. ქურდიანმა წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

დიდი სამამულო ომის დროს ე. ქურდიანი მოქმედ არმიაში ჩაირიცხა სამხედრო ექიმად. ვინ მოთვლის რამდენი მეომრის სიცოცხლე გამოგლიჯა სიკვდილს მისმა მადლიანმა ხელმა.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ე. ქურდიანმა კვლავ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის კათედრის დოცენტად დაიწყო მუშაობა. პროფესორ მ. ცხაკაიასთან. პარალელურად მუშაობდა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ტრავმატოლოგიის, ორთოპედიისა და საველე ქირურგიის კათედრის დოცენტად.

1946 წელს ქ. თბილისში ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი რომ გაიხსნა, დოცენტი ე. ქურდიანი მოწვეულ იქნა ამ ინსტიტუტში განყოფილების გამგის თანამდებობაზე. შემდეგ აქ სხვადასხვა დროს განაგებდა აღდგენითი ქირურგიის, ტრავმატოლოგიურ და ორთოპედიულ განყოფილებებს.

1952 წლიდან დღემდე სათავეში უდგას ინსტიტუტის ბავშვთა ორთოპედიის განყოფილებას. დიდია მისი დამსახურება ამ დარგში. მან ბევრი მეცნიერული და პრაქტიკული სიახლე შეიტანა ისეთი გავრცელებული დაავადების მკურნალობაში, როგორიც არის ბარძაყის თანდაყოლილი ამოვარდნილობა.

ე. ქურდიანი ავტორია 35 სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებშიც გამუქებულია ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის აქტუალური საკითხები. იგი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს მუშაობას, მთელ ძალღონეს ახმარს ადამიანია ჯანმრთელობაზე ზრუნვას.

გ. ფავლენიშვილი,
პროფესორი.

ახალი ამბები • ცნობები

უკვე ორი დღეა თბილისში, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარ პავილიონში, მუშაობს ფინეთის სამედიცინო მოწყობილობის გამოფენა. გამოფენას ბევრი მნახველი ჰყავს, განსაკუთრებით მედიცინის მუშაკები. ეს ბუნებრივიც არის, აქ წარმოდგენილი პროდუქცია თავისი ხარისხით მაღალი მეფასების ღირსია.

ფინეთის საავტო საზოგადოება „მეტალიტეოსი“ უკვე რამდენიმე წელია ეწევა ექსპორტს ოც სხვადასხვა ქვეყანაში და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს საერთაშორისო ბაზარზე. ფინეთის საავტო საავტო საზოგადოება „მეტალიტეოსი“ და სსრ კავშირისა და საქართველოს სათანადო ორგანოებმა, რომლებმაც მოაწყეს ეს გამოფენა, ფართოდ წარმოადგინეს „მეტალიტეოსის“ სამედიცინო მოწყობილობისა და ინვენტარის მრავალფეროვანი ნომენკლატურა.

პავილიონის დარბაზში ნახავთ ყველაფერს, რაც საჭიროა საავადმყოფოსა და პოლიკლინიკისთვის: როგორიც არის: ექიმის მისაღები ოთახის მოწყობილობა, სტომატოლოგიური და რენტგენული აპარატურა, მასუნჯი და ძვირფასი საოპერაციო მაგიდები, სასტერილიზაციო მანქანები, „ალატის სხვადასხვა ზომისა და საჭიროების საწოლები და სხვ.

სურათზე: *გამოფენის მუშაკი თ. ლავიკოლა სასადილო ბლოკის მოწყობილობაზე ესაუბრება დამთვალიერებლებს.*

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სომხური საბჭოთა ენციკლოპედია

ერევანი, 3 თებერვალი. (საკუთარი კორ.). სომხური საბჭოთა ენციკლოპედიის შექმნა დაიწყეს რესპუბლიკის მეცნიერებმა, ეს ფუნდამენტალური ნაშრომი შეიცავს ამომწურავ ცნობებს ბუნებისმეტყველების, სოციალურ-ეკონომიური მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისა და კულტურის შესახებ. ფართოდ და სრულად ასახავს რესპუბლიკაში კომუნისტური შენებლობის მიღწევებს. გამოცემაში დიდი ადგილი დაეთმობა სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

გამომართა ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის პირველი სხდომა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ვ. ა. ამბარცუმიანის მეთაურობით.

ექიმი მოქანდაკენი

თუ ადამიანს ძალზე გრძელი ცხვირი ან უშნოდ გადმოშვერილი ყურები აქვს, ეს მის სიიოცლესა და არსებობას არ ემუქრება, მაგრამ ზოგჯერ არასასიამოვნო წუთებს განაცდევინებს. ხშირად გარეგნული ნაკლი მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, ქცევაზე — იგი გაჯერების საზოგადოებას, გულჩათხრობილ, პირქუშად ხდება.

რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოსმეტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ასწორებენ ბუნების შეცდომებს, უბედური შემთხვევის შედეგად დარჩენილ სიმახინჯეს.

ჩვენ გაგიაცნეს სანდომიანი სახის ქალიშვილი. მას მოკრძალებული ღიმილი აქვს, დიდი თვალები და ოდნავ აბზეკილი ცხვირი. ქალიშვილი იღიმება — იგი ბედნიერია. ოპერაციამ ნამდვილად გადაასწავფერა იგი. ადრე ცხვირი უმახინჯებდა სახეს. ქალიშვილს მუდამ ასე ეგონა, ერთნი მიცდენენ. ხოლო მეორენი დაშეცინინთ. საზოგადოებაში იგი იბნეოდა, უმეტესად დუმდა. და აი ინსტიტუტში ეს დეფექტი გამოასწორეს. ასევე შეუცვალეს სახე ახალგაზრდა კაცს, რომელსაც დიდი გადმოშვერილი ყურები „დაუუთო